

რეზიუმე

ქართული სალიტერატურო ენისა და სულხან-საბას "სიტყვის კონის" ზოგადი საკითხისათვის

1. ქართველთა ცხოვრების ისტორიული მდინარეა და ქართველური ენობრივი სისტემის განვითარების გზა ერთი კალაპოტით მიედინებოდა და მიედინება. ცხადია, იგივე უნდა ითქვას სხვა ხალხებისა და მათი ენების შესახებაც. მაგრამ დედამიწის ზურგზე, ალბათ, ბევრი არ მოიძებნება ისეთი ერთი და ენა, საუკუნეების ქართველებისათვის ასე რომ გაეძლოს და, რაც მთავარია, თავისი სახე შეენარჩუნებინოს. ამავე დროს, აღსანიშნია ისიც, რომ ეროვნული ერთობის შიგნით და ენობრივი სისტემიდან გაუსვლელად „ჩვენ, კაცთა, მოგვცა ქვეყანა, გვაქვს უთვალავი ფერითა“. მიუხედავად ეთნოგრაფიული თავისებურებებისა და ენობრივი სისტემის ვარიანტთა (დიალექტთა) სიმრავლისა, ქართველურ სინამდვილეში არ წარმოქმნილა არც ერები და არც ენები, - ენას ქმნის ხალხი, მაგრამ ასევე ენა აყალიბებს ერს. ვ. ჰუმბოლდტის ეს დებულება (და არაერთი სხვაც), ალბათ, გასათვალისწინებელია, როცა საკითხი „ქართველურ ენებს“ ეხება, რადგან, მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ, „სხვადასხვა ენა სხვადასხვა აღნიშვნა კი არ არის რომელიმე ერთი საგნისა, არამედ მასზე სხვადასხვა თვალსაზრისი“ (ვიმოწმებთ გ. რამიშვილის "ენის ენერგეტული თეორიის საკითხების" მიხედვით). ძნელი დასანახი არ უნდა იყოს ის ფაქტი, რომ „ქართველურ ენებს“ არც „სხვადასხვა თვალსაზრისი“ გამოუმუშავებიათ და, ამდენად, არც სალიტერატურო ენისაგან განსხვავებული ენობრივი სისტემა ჩამოყალიბებულა.

2. ქართველური ენობრივი სისტემის ამსახველი ძირითადი ვარიანტი, - ქართველური სალიტერატურო ენა, - ქრისტიანობის გავრცელებამდე ბევრად უფრო ადრე რომ არის ფორმირებული, დღეს ექვს არ უნდა იწვევდეს. ამასთან, ხაზგასასმელია ის უნიკალური ფაქტიც, რომ „სალიტერატურო ენის განვითარებაში წყვეტა არ მომხდარა, ახალი ენობრივი სისტემა, ანუ „ახალი ენა“, ძველთან მიმართებით, არ ჩამოყალიბებულა“ (ტ. ფუტყარაძე, 1992; ა. არაბული, 2003). ამავე დროს ქართველურმა სისტემამ თავისი განვითარების გზაზე, გარდა სალიტერატურო ვარიანტისა, წარმოშვა მრავალფეროვანი დიალექტური სახესხვაობანი, - სისტემის „შესაძლებლობათა ნაირგვარი ვარიანტული ჯგუფები. მათში ამ „შესაძლებლობათა“ რეალიზაციის შედეგების საუკუნეების მანძილზე სალიტერატურო ენაში აკუმულირდებოდა. ეს პროცესი კარგად ჩანს „ვეფხისტყაოსანში“, უფრო ნათლად - სულხან-საბას „სიტყვის კონაში“.

3. დიალექტური სიტყვა-ფორმების გარდა, სულხან-საბას ლექსიკონი ყურადღებას იქცევს იმითაც, რომ ავტორი გამოკვეთილად აფიქსირებს თავის პოზიციას სალიტერატურო ენისა და დიალექტების ურთიერთმიმართების შესახებ. ლექსიკური ერთეულების განმარტებისას იგი ხშირად იყენებს წინადადებას-ტერმინებს: „სხვათა ენაა“ (ზოგჯერ მითითებულია, თუ რომელი ენიდან არის სიტყვა ნასესხები: „ბერძნულია“, „თათართა ენაა“...), „გლეხურად“ („გლეხური“ განმარტებულია როგორც „მდაბიური“), „გლეხნი... უწოდებენ“, „მსოფლიონი... უწოდებენ“.

უცხო ენათა მასალის განმარტებისას სულხან-საბა ზოგჯერ სიფრთხილეს იჩენს და ან მხოლოდ ქართველურ შესატყვისს უწერს (გეომეტრი ქვეყ(ა)ნის მზომელი), ან უბრალოდ აღნიშნავს, რომ „სხვათა ენაა“. იშვიათად ვარაუდს გამოთქვამს (გუფთა ქართულს(ა) არა (ჰგავს), შენაყილ(ს) უორცს(ა) ჰქვიან).

4. ჩვენი საკითხისათვის, ცხადია, ქართველური ენობრივი სამყაროდან მოხმობილი ფორმებია საინტერესო. ლექსიკური ერთეულები, რომლებიც სულხან-საბას აზრით ლიტერატურული არ არის, განმარტებულია როგორც „გლეხური“, ან „მსოფლიონი... უწოდებენ“.

„მათე მცირე ფოსო გლეხურად“.

„ბებია გლეხნი ყრმათ ამქმელს უწოდებენ“.

„კუდური კუდიანი, ამას მსოფლიონი გრძნელს უწოდებენ“.

არცთუ იშვიათად განსამარტავ მასალად აშკარად დიალექტური („გლეხური“) ფორმაა გამოტანილი, მაგრამ კვალიფიკაციის გარეშე („თვარა, თვარამ ნ. თუარა“). ზოგჯერ კი განმარტებისას არის გამოყენებული მსგავსი ფორმა („კორკოტი დანაყილი ხვარბალი“).

ერთეულ შემთხვევებში დაკონკრეტებულია, თუ რომელი კუთხის „გლეხურია“ სიტყვა:

„დასტი ჭანნი კოკას უჯმობენ; საღვინეა დიდი“.

„კობუჯი (კობუნჯი) იმერული ქალამანი“.

„კი, მი, ყე, ქუე (კი, მი, ყე, ქვე, წენ, კენ..) ესენი სიტყვათა გემოთა ართრონნი არიან, ზოლო რომელნიმე იმერელნი ამათდა ნაცვლად სიტყვათა შინა ატანენ: ქე, წენ; ცუდი არს და ამო...“ „ოჯიჯი ბადე მეგრულად. მგრგვალი ბადეა ქორთ თავ(ს) დასაცმელი“. ეს ერთეული ბადე სიტყვის ბუდეშიც არის შეტანილი: „ბადე არს შესაპრობელი ფრინველთა: აშრიალი, ოჯიჯი...“

„უარე იარე მესხურად“.

5. ცალკე უნდა ითქვას „ელურტული“ ფორმის შესახებ. სულხან-საბას განმარტებით, ეს არის „მეგრელთაგან მრუდი ლაპარაკი, გინა ჩხიკვთა და კაქკაქთაგან ლაპარაკი Z. ესე არს მეგრელთა და მისთანათა ავენონათა ლაპარაკი, გინა ჩხიკვთა და კაქკაქთაგან ლაპარაკი AB. მეგრელთა და მისთანათა ავენონათაგან ლაპარაკი Cb...“

შენიშვნა: რედაქციებში „მეგრელთა და მისთანათა...“ ვარიანტზე ყურადღება პროფ. თ. გვანცელაძემ გაამახვილა.

სავარაუდოა, რომ პოეტს, რომელმაც ქართველური ეროვნული ფსიქოლოგიისათვის მიუღებელი და ყოვლად უვარგისი „ლექსი“ შეთხზა, სულხან-საბას განმარტების მხოლოდ ერთი ნაწილის მიხედვით მისცეს „შეკვეთა“. სხვა შემთხვევაში „ლექსის“ შინაარსი უნდა შეხებოდა საქართველოს ყველა კუთხის (დიალექტის) წარმომადგენლებს.

ლექსიკონში ანტონიმური ცნებებია ავენაობა და ენამზეობა:

„ენაავი იენავა“. „იენავა ავ-ენაობა ქნა (თქვა)“.

„ენამზეობა ენაგანათლებულობა“.

„ენაგანათლებულობა“ აუცილებლად გულისხმობს სალიტერატურო ენის ცოდნას, მასზე მეტყველებას. „ენაგანათლებულთ“ ერთნაირად უპირისპირდებიან როგორც „გლეხურად“, ისე „მრუდედ“ მოსაუბრენი, „ავენონანი“, ანუ სხვადასხვა („მისთანათა“) დიალექტებზე მოლაპარაკენი, -

სულხან-საბა ენობრივი (=ეროვნული) თვალსაზრისით ერთმანეთისაგან არ გამოარჩევს ჭანს, მეგრელს, იმერელს, მესხს: ვინც, მისი შეხედულებით, სალიტერატურო (=ეროვნულ) ენაზე არ მეტყველებს, ის „ავენოანია“, „გლებურად“ ლაპარაკობს. ავტორი თუმცა ასახელებს ჭანებს, მეგრელებს, იმერლებს, მესხებს, მაგრამ ლექსიკონში შეტანილი აქვს მრავალი დიალექტური სიტყვა-ფორმა. ცხადია, რომ სულხან-საბა უბირველესად სალიტერატურო ენის სიწმინდეს იცავდა, მაგრამ დიალექტური მასალით ძირითადი, სალიტერატურო ვარიანტის გამდიდრება რომ აუცილებელი იყო, კარგად ჰქონდა გააზრებული, ამიტომაც შეიტანა ლექსიკონში „მეგრელთა და მისთანათა ავენოანთა“ სამეტყველო სიტყვა-ფორმები. მისთვის მეგრულ-ლაზური დამოუკიდებელი, სხვა ენა რომ ყოფილიყო, ისეთი ერთეულების განმარტებისას, როგორცაა გურჯი, გეჩა, გიდელი, დიხაშხო, კვანწია, კვეკვერიში, კურკანტელი, მეცარი, ონჩხომელი... დაურთავდა „სხვათა ენააო“, ან „მეგრელთა ენააო“, - დასახელებული ლექსემები, აშკარაა, „ელურტულთან“ შედარებით მეტი „ავენაობის“ ნიმუში იქნებოდა „ენამზე“ ქართველისათვის.

ზემოთ თქმული გვაგვარაუდებინებს: 1. სულხან-საბას დროინდელი და თანამედროვე სიტყვა-ფორმები მეგრულ-ლაზურსა და სხვა (ქართველური სისტემის) ვარიანტებში იდენტურია; 2. სულხან-საბასთვის ერთი დონის ენობრივი ერთეულებია ჭანური, მეგრული, იმერული, მესხური და ყველა „ავენოანნი“; 3. სულხან-საბას პოზიცია სალიტერატურო ენისა და დიალექტების მიმართ გამოკვეთილია, - მთავარია სალიტერატურო ენა (ქართველური სისტემის ძირითადი ვარიანტი), დიალექტური სიტყვა-ფორმები „გლებურია“, „ცუდი არს და ამაო...“, „ავენაობის“ ნიმუშებია, მაგრამ სალიტერატურო ენისათვისაც და საერთო სისტემისთვისაც საჭირო, როგორც ეროვნული ფონდის კუთვნილება.

ლიტერატურა

კ. დანელია, 1991 - კ. დანელია, მეგრულ-ჭანური ლექსიკის საკითხები: ქართული ხალხური სიტყვიერება, II, თბ., 1991.

სულხან-საბა, 1991-1993 - სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, თბ., 1991-1993.

ტ. ფუტყარაძე, 2005 - ტ. ფუტყარაძე, ქართველები, ნაწილი I, ქუთაისი, 2005.

REVAZ SHEROZIA**ON GENERAL QUESTIONS OF KARTVELIAN
LITERARY LANGUAGE AND SULKHAN-SABA'S
"SITQUIS KONA" (DICTIONARY)**

The history of the Georgian people and the development of the Kartvelian language system have always been flowing through the same river bed. In spite of the multitude of ethnographic peculiarities and variety of language systems (i.e. dialects), Georgian reality did not give birth to new nations and new languages, - a language is created by people, and in the same way the language is responsible for the formation of the particular people. "A different language does not only refer to an object with a different word but also the different point of view about the object of reference" (V. Humboldt). It is noteworthy that Kartvelian languages had not worked out different points of view hence, they did not yield the development of language systems different from the literary language.

"The development of the literary Georgian language did not have secession periods; new language system, i.e. "new language" did not develop in the oposition of the old one". In its development Kartvelian language system, apart from the literary language, gave rise to the number of dialectal variations. The results of the dialectal "capacities" have been accumulated in the literary language through centuries. This process can easily be traced in "The Knight in the Panther's Skin" and more vividly than that in "Sitquis Kona," an explanatory dictionary of the Georgian language compiled by Sul Khan-Saba.

Sul Khan-Saba had a clear-cut position about the relationship between the literary language and dialects, chief is the literary language, principal variant of the Kartvelian system, and as for the dialectal forms their word forms are of laymen (=literary of "peasants", they are bad and vain, examples of the "evil tongue", however, they are necessary for the literary language and for the common system and present the property of the national word-stock.